

საქართველო



„პარსკვლავეთის“ ომებთან წვდომით
 გეგმების საპირისპიროდ სსრ კავშირის ხელ
 თაშორისო გაერთიანების წინაშე აწინააღმდეგებს
 „პარსკვლავეთის მშვიდობის“ კონცეფციას.

გაზეთიდან

„პარსკვლავეთის ომები“ სურს
 ვაშინგტონს!
 „პარსკვლავეთის მშვიდობა“ სურს
 მოსკოვს!
 მშვიდობას და ოქტომბრის შუქს
 ამიტომ
 მსოფლიოში ველარავინ მოსპობს!

ნახ. ზ. მორჩაძისა

ინსურჯიუ

ნოღარ გიჟმბაძესთან

მონღა მოვიგონო სახელდახელო ინტერვიუ ბატონ ნოდართან, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ ქუთაისში ვლადიმერ მარაკოვსკის ტრადიციულ დღეებში შედგა.

კითხვა: ქუთაისის პოეზიის, მუსიკის ქალაქს უწოდებენ, მაგრამ ქუთათურებს ლექსზე, სიმღერაზე ნაკლებ როდი უყვართ ლაზთიანი, სხარტი გამოთქმები, აქ ყოველი მეორე-მესამე კაცი იუმორის დიდი გრძნობითაა დაჭილღობული. როცა ქუჩაში მრბობდით, ქუთათურები სიყვარულით შემოგაციცინებდნენ. იქნებ რომელიმე მათგანმა თქვენთან პაექრობაც კი ინატრა, — მათ რომ კარგად ახსოვთ თქვენი მრსრებული იუმორი მეგობართა წრეში, ყოველდღიურ ცხოვრებაში!

პასუხი: მადლობელი ვარ კომპლიმენტისათვის, მაგრამ არა მგონია, აკაკი წერეთლისა და დავით კლდიაშვილის სამყაროში ვინმეს ჩემი იუმორი გაუკვირდეს ან საურვილი ჰქონდეს მახვილგონიერებასა და მახვილსიტყვაობაში შეპაექროს.

კითხვა: რატომაა თქვენი ორეული ჯგებე დუმბაა? საფარველი ფსევდონიმაა თუ ხუმრობა?

პასუხი: ამ ხახელსა და გვარს უფრო ხამეგრელოში, ცოლოურში ვხმარობ, საერთოდ კი ფსევდონიმა!

კითხვა: წუთით დავივიწყოთ თქვენი დღევანდელი მდგომარეობა. ვთქვათ, ვინმე ნოდარი ხართ, სრულიად რიგითი, უცნობი გვარისა, რას ინატრებდით მაშინ?

პასუხი: თქვენ რომ ნოდარ დუმბაძე იყოთ და მე შეკითხვას გაძლევდით!

კითხვა: ხომ არ გინდოდათ მწერლობაში ვინმეს მემკვიდრედ ყოფილიყავით?



პასუხი: ჯერ მითხარით, ყველაზე მდიდარი მწერალი ვინ არის მსოფლიოში და მაგ კითხვაზე შემდეგ გიპასუხებთ!

კითხვა: კარგი სახელწოდება აქვთ უტურნალებს: „მნათობი“, „ცისკარი“, „განთიანი“, „ოქროპირი“ (სატელევიზიო). თქვენთვის რომ მონდოთ, რა სახელწოდებას მოუნახავდით „ნიანგს“?

პასუხი: ეგ რომ მცოდნოდა, ცხრა წლის მანძილზე „ნიანგის“ მთავარი რედაქტორი ვიყავი და როგორ ფიქრობთ, სახელს არ გამოვუცვლიდი?

კითხვა: ჩაცმულობით თუ გამოიცნობდ ადამიანის განათლებას, სახის იერით თუ იგრძნობთ მის ტალანტს?

პასუხი: ჩაცმულობით მე მდიდრებსა და ღარიბებს ვარჩევ ერთმანეთისაგან, სახით კი — ღამაზეებსა და მახინჯებს!

კითხვა: მანდილოსნებზე უფრო გეაღვილებთ წერა თუ მამაკაცებზე, მით უმეტეს ახლა, როცა ზოგიერთები ტოლს არ უღებენ ერთმანეთს ტანსაცმლით, ვარცხნილობით, ყავისა და კონიაის სმაში?

პასუხი: ადრე ცოტა მიჭირდა, ახლა ორივე სქესზე ერთნაირად ვწერ, მხოლოდ სახელებს ვარჩევ შემდეგ, ზოგს ქალისას და ზოგს — მამაკაცისას!

კითხვა: დიდი ადგილი ეთმობა ჩვენს დროში ადამიანის ფსიქოლოგიურად შესწავლას. ამ თვალსაზრისით რა პირობებია საჭირო იუმორისათვის?.. თუ ყველაფერი დამოკიდებულია ფიზიკურ ჯანმრთელობაზე?

პასუხი: ყველაფერს თავისი მეორე მხარე აქვს, ამიტომ სიცილისათვის აუცილებელი პირობაა ტირილი!

კითხვა: საერთოდაა ცნობილი თქვენი თილისმის ძალა, რომ ფლობთ ჯადოქრულ საიდუმლოს, — რამდენჯერ პირისპირ „გისაუბრიათ“ თვით მამაზეციერთან თუ არსებობს თქვენთვის მოულოდნელი, საკვირველი მოვლენა?

პასუხი: როგორ არა, თქვენი შეკითხვები, მაგალითად აბსოლუტურად მოულოდნელი იყო ჩემთვის!

კითხვა: იქნებ ადრე ნატრობდით გამოჩენილი მეცნიერის ტიტულს, იქნებ სპორტის რომელიმე სახეობაშიც მოგეცარათ ხელი, რომელიმე მხატვრის ტილოებზეც გიოცნებიათ და სრულებით არ გიფიქრიათ მწერლობაზე?

პასუხი: ბავშვობაში ვოცნებობდი წიგნის გამყიდველი ვყოფილიყავი, ახალგაზრდობაში — ექიმი, ორმოცი წლის ასაკში — მხატვარი, ახლა კი მწერლობაზე ვოცნებობი..

კითხვა: სპორტის მოყვარულები გიცნობენ, როგორც „ნოვატორ მწვრთნელს“, თქვენ შექმენით გამამხნეველი ვარჯიშის რამდენიმე კომპლექსი, გიცნობენ როგორც „პროგნოზისტს“. მათ აინტერესებთ, თუ გქონდათ შემთხვევა (როგორც თბილისის დინამოელებზე) ან თუ აპირებთ „საუბარს“ ღმერთთან ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელებზე?

პასუხი: ფეხბურთელებს ჩემი „შუამდგომლობა“ ღმერთთან რად სჭირდებათ, მით უმეტეს, ქუთაისის „ტორპედოს“?!

კითხვა: ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია წინასწარმეტყველება — გავუსწროთ დროს, ვიფიქროთ მომავალზე!... რა ბედი ეწევა იუმორს, სიცილს? ადამიანს სიცილში აჯობებს რობოტი?

პასუხი: ადამიანს რომ რობოტი აჯობებს, ეს იქნება ყველაზე სასაცილო ეპოქა კაცობრიობის ისტორიაში იუმორსა და სიცილს დიდი მოშავალი აქვს!

კითხვა: ქუთაისში რამდენჯერმე ყოფილხართ. რა შეამჩნიეთ მასპინძლებს ისეთი, რომ პირში ვერ უძრახეთ?

პასუხი: ქუთაისელები ძალიან ეშმაკი მასპინძლები არიან, ისე ათრობენ ხოლმე სტუმარს, რომ პირში ენა არა აქვს და სამარხის სიტყვა როგორღა წამოცდება?

ჩაიწერა ბიჭიკო პაბარნიკე



ლოჯუნგები შორეული მოგავლისათვის

ხელების წარმოშობა სიცოცხლის წარმოშობის ტოლფასი მოვლენა იყო დედამიწაზე! — მაშ, ხელახლა მივაჩვიოთ ხელები მუშაობას და ვიხსნათ ისინი სრული ატროფიისაგან!

ორ ფეხზე დგომამ გაათავისუფლა წინა კიდურები შრომისათვის, — ასე დაიწყო ადამიანის ჩამოყალიბება! — მაშ, გავაუქმოთ ამწე მანქანების გამოყენება ავტომობილებში ჩაჯდომა-გადმოსვლისათვის და ვიხსნათ ფეხები გადაგვარებისაგან!

კბილები ამ შვენებს ადამიანს. ადვადგინოთ საქმლის ღებვა პირადად და ვიხსნათ კბილები სრული გაქრობისაგან!

შეველდეთ ხელოვნური ორგანოების ჭარბი გამოყენება! — ეს გვიხსნის გრძნობათა სრული ნიველირებისაგან!

გადავეჩვიოთ წიგნებით სპეკულაციას! — ეს ატავისტური მოვლენა სამარცხვინო იყო მაშინაც, როდესაც ქვეყანაზე ფული არსებობდა!

დროა, მივეჩვიოთ ელექტროენერჯის, სასმელი წყლისა და სხვა მიწიერი რესურსების მომჭირნეობით ხარჯვას! — აგერ რამდენი საუკუნეა ამაზე ლაპარაკი გრძელდება!

აღვადგინოთ წინაპართა ზომიერება სადღეგრძელოებში: „იცოცხლეთ ასი, ორასი წელიწადი!“ აშუამად ზოგიერთი ამხანაგი ათასსაც არ სჭერდებოდა და... ნამუსიც კარგი საქონელია! — სხვებსაც უნდათ ცხოვრება!

შეველდეთ სხვადასხვა პლანეტაზე ოჯახის წევრების ცალ-ცალკე გამგზავრება დიდი ხნით! — ეს ძირს უთხრის ოჯახის სიმტკიცეს!

ააკლონ ბასილია

ნახ. მ. აბაშიძისა



მომხვეჭელის შემოდგომა

ყველა გარდასული!

ხშირია შემთხვევა, როდესაც ესა თუ ის დაწესებულება იძენს (ხშირად უცხოეთიდან — ვალუტაზე) ძვირფას მოწყობილობას, რომელსაც ვეღარ უვლის!... მილიონები წყალში იყრება, დამწავე კი არ ჩანს.

ფელეტონი

კვლევით ინსტიტუტში ერთხელ ბარე ათი ოქროდ შეიძინეს ძვირი აგრევატი! —

ვერ ამუშავეს!.. ადგნენ, სათვალჩინედ ჯართის პოლიგონზე ბინა მიუჩინეს!..

ახლა მყიდველთაგან გვესმის სიტყვა ავი: ნეტავ სადა გვექონდა მათი მოვლის თავი?!

არვის — საყვედური, არვის — ციხის კარი! — ყველა მართალია! ყველა კარგად არი!

უფრო კონკრეტულად? ინებეთ, ბატონო! — სულ ერთი საათით თბილისი დავტოვოთ! —

აქვე, ვერეს ხეში, ჩადგეს დანადგარი, — ვერას დაგვაკლებსო აწი მზე და ქარი!

ფერდობზე ჩააგდეს რკინის მილი ორი, და ის წყალსაქაჩი დაჯდა მილიონი!..

ვერ ამუშავეს!.. რის წყალი, რა წყალი?! — ფერდობზე კვლავ ხმება ნარგავი საწყალი!..

გაძარცვეს, დაუანგდა მერე წყლის საქაჩი, მის ადგილს ათამდე ახლა გლია ქანჩი!..

ძვირად ღირებული გაქრა დანადგარი, მისი „ამგები“ კი მაინც კარგად არი!


კიდევ კონკრეტულად? მითხარით, რა უზის ქვეყანას აგება ორასი აუზის? —

წყალი რომ გაუშვეს, საქმე ექცათ შავად! — იმ აუზებიდან ოცმა იმუშავა!..

წერეს, წერეს აქტი, დააყენეს მტვერი და ამით დამთავრდა მერე ყველაფერი!

არვის — საყვედური, არვის — ციხის კარი! — ყველა მართალია! ყველა კარგად არი!..

ავთანდილ ციგაქია



საჩუქრული

შემსახურებს!

გადაზიდვა, გადატვირთვა,
ანუ
სასრით წყალზე!..

ფელეტონი

დღეს, ტექნიკური რევოლუციისა და კომპიუტერების ეპოქაში, ცოტა უნერსულ-იც კია სახანგარიშო კოჭების („ჩოთქის“) მომარჯვებით მოგება-წაგების გამოთვლა, მაგრამ, თუ საკითხი ეხება სახალხო მეურნეობის დარგს, სახელმწიფო საწარმოს და მისი ნორმალური მუშაობის ხელოვნურად შეზღუდვას, ვფიქრობთ, „ჩოთქი“ მართლაც უპირიანია დაბრკოლებების შემქმნელისათვის, დაბრკოლებებისა, რომელთა გადალახვა არავითარ ფიზიკურ გაკაყებას არ უწყობს ხელს და, გულახდითად რომ ვთქვათ, სულაც არ არის სპორტი!

საკითხი იმდენად მარტივია, სიცილს კი არა, ღიმილსაც არ მოჰგვრის კაცს, სატირის თვალსაზრისითაც ვერ ბრწყინავს, ცრემლს და კურცხალს ვერ გამოიწვევს, მაგრამ მაინც სატირალ-სატირულია და ამდენად მშრალ ფაქტებს გავაცნობთ:

მახარაძის რაიონის რძის კომბინატიდან კვირაში ერთჯერ სპეციალურ ავტომანქანაში იტვირთება 5 ტონა ყველი (დატვირთვაზე მუშაობს ორი კაცი). აღნიშნული პროდუქცია, 60 კილომეტრის გავლის შემდეგ, გადმოიცლება (გადმოცლასაც ორი კაცი სჭირდება) ბათუმის მაცივარში, აიწონება და გულდაგულ შეინახება. მძღოლი-ექსპედიტორი (ყველის ადგილზე ჩამტანი) თავისი ცარიელი სპეციალური მანქანით ბრუნდება უკან. ერთი სიტყვით, ყველაფე-

რი ბუნებრივი მსველელობით მოდის, წონა წონას ემთხვევა და ოპერაცია ოპერაციის ტყუპისცალივით ჰგავს (დატვირთვა-გადმოტვირთვა), ასე რომ, სასაყვედურო და თავში საცემი არავის არაფერი აქვს. თუმცა...

რალა თუმცა?! იმ დროს, როცა მახარაძის რძის კომბინატიდან ჩამოზიდული ყველი ბათუმის მაცივარში იცლება, მახარაძის რაიონიდან ამავე მაცივარში ყველისთვის ჩასული 3-4 ავტომანქანა დგას და ელოდება რიგს დასატვირთავად, რათა ყველი წაიღონ მახარაძეში!

სულაც სასაცილო არ არის, არა?

დიახ, სულაც არ არის სახუმარო ამბავი, მით უმეტეს, ზემოთ მოვასხენეთ — ოპერაცია ხდება კვირაში ერთხელ, წელიწადში კი ხუთ ათეულზე მეტი კვირაა.


არ გამოვეკიდებით წვრილმანს, დავამრავლოთ ციფრი და 50 კვირა ვინგარიშოთ, 60 კმ იქით, 60 კმ აქეთ — 120 კმ. ეს რიცხვი გავამრავლოთ 50-ზე, მივიღებთ ექვსი ათასს! შიხვეუ-მონვევასა და მანქანის მანევრირებას რომ თავი დავანებოთ, მარტო გზაზე ბენზინი კაი სამ ტონამდე იხარჯება!

ასლა ამორტიზაცია, მძღოლი, ორ-ორი სალსალამათი კაცი დატვირთვა-გადმოტვირთვაზე? ვასათვალისწინებელია ისიც, რომ თვითოეულ გადაზიდვაზე ბუნებრივი დანაკარგის სახით ტონა ყველზე დაშვებულია 12 კგ, მარტო ამ შემთხვევაში წლიური დანაკარგი 3120 კგ-ს შეადგენს წელიწადში მხოლოდ ერთ მხარეზე. ამას თუ დავუმატებთ უკანწამოლებისას ამდენივე დანაკარგს, გამოვათავისუფლებთ ერთი საშუალო სიდ-იდის ფერმას თავისი გაშვითა და სხვა საშტატო ერთეულებით! ასლა ის სამი-ოთხი მანქანა დატვირთვისა და გამობრუნების მოლოდინში?... — ვგონებ ღირს „ჩოთქის“ ხელში აღება!

ჩვენ პრიმიტიული საშუალებებით გამოვთვალეთ ზარალი და სოლიდურ ათასეშში, ცოტა არ იყოს, გაგვიჭირდა გარკვევა.

ვფიქრობთ, ის კომპეტენტური ამხანაგები სათანადო უწყებებიდან, რომლებიც თანამედროვე ელექტრული გამოთვლელი მანქანებით არიან შეიარაღებულნი და სახალხო მეურნეობის ეკონომიკური დაგეგმვაც მათი კომპეტენციაა, უფრო ზუსტად დაინგარიშებენ ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო საქმის მნიშვნელოვან ზარალს იმის გათვალისწინებით, რომ ყველი ქვა არ არის და გადატანა-გადმოტანა, დატვირთვა-გადმოტვირთვა და სხვა ამგვარი ოპერაციები უარყოფითად მოქმედებენ მის ხარისხზე!

დავითი ასკარაძე,
„ნიანვის“ შტატგარეშე კორესპონდენტი.



ნახ. ბ. ზუბაზვილინის



კერძომესაპუთრეები

ვახუტაძე კორესპონდენტის



ბოლოს მოგინდო წინასწარ ქვეყნის უხადლო გოლიათს, გაწუხებ, ღმერთმა შეშინდოს, ცოდვას ჩავდივარ, მგონია! მაგრამ სხვა რა ვქნა, არ ვიცი, როცა გამწვავდა ხაკითხი, როცა საკუთარ ოჯახში უამი დამიდგა განკითხვის?! იხევე შენ ამოვირჩიე, გიგანტი საქართველოსი, მხოლოდ შენ გქონდა სიმაღლე ორი მეტრი და ორმოცი.. ჩემი სიმაღლე როგორ ვთქვა? შენთან რა მოსატანია? — ვით შეედრება ერთმანეთს წყალი, ღვინო და ძმარია? ორ მეტრს ცოტადა მივლია — ათ სანტიმეტრის ფარგლებში.. რომ დამდგარიყავ ჩვენს გვერდით, თავს იგულვებდი ბაღლებში!


მაგრამ ეს ჩემი სიმაღლეც გახდა მსჯელობის საგანი, უფელდღე არის ოჯახში ერთი გინასი, ქაქანი: „რას გავხარ? ეგ რა ჩავიცვამ? ვისი იყიდე ნაწარმი?! მუცლამდე გწვდება პერანგი, შარვალი კიდეც — კანჭამდი ვიწრო პიჯაკი აქა-იქ დაჭიმული გაქვს დლითა, ლაბადა შემოგცვეთია პატიოს გარმონივითა! პატარა ქუდი შუბლს ზევით ოდნავ ვიფარავს კეფასა, შენს დანახვაზე ძაღლები ერთხაშად ტუნენ ყუფასა!“ რა ვუთხრა, აბა?! სიმაართეს სად გაქცევო, მითხარი?! სულ ოკრობოკრო მაცვია ფეხის ტერფიდან კისრამდი... ჩემ სარგოს ვერსად ვშოულაობ ფენსაცმელსა თუ ტანსაცმელს, ისეთ პატარას უშვებენ, ვერსად უბოვი ჩასაძვრენს.. ასეა: ღიღრონ ტანსაცმელს დიდი ნაჭერი სჭირდება, პატარას ჭიბის პროცენტით, ფაქტია, მეტი სცვივდება.. მითომაც, რაც დრო მატულობს, იკლებს შვარტნის ტყავივით, თუ გამოჩნდება აქა-იქ შავ ფონზე თეთრი ყვავივით. მიზეზი ძველთაძველია — ფული და მისი პატრონი მოხვედრის ხარის მიკრობი, მითლი სხეულის ბატონი, გაბერილ ჭიბის გულისთვის ისეთნაირად ირჭება, იოლი გამდიდრებისთვის უფრო და უფრო გიუდება.. ნების ქუჭუჭიან ნოკოსებრ ამოიგანგლა ტალახში (იხე კი, ზოგიერთები კაცს ეძახიან ქალაქში!). ქრთამით და ქათინაურით იოლად გადის გახასხველეს, ერთხაშად მოაფრთხივებს შესაქერსა თუ გასაჭრელს, საცვლისხას პალტოს მიაკრავს, დევსას — ლლიპუტისას, ერთს ათასამდე გაბერავს, ათასად აქცევს ხუთისას!.. დააქვს თავისი ნაწარმი, ძირს ავადებინებს ქებითა (ოლონდ თავისი გაკეპავს, არას დაგიდევს სხვედინას!). მეტი გაუშვებს სავაჭროდ შვა ნაწარმების ბაზარზე (ცოტახ იმთავაც არგუნებს ისე ვინ იღებს ბაზარზე?!). მითომაც დახლზე ობდება „გასაგიე-გასაკვირები“, მტვრით გაგანგულლი, ყურებ და იარღიყრამოყრილები.. დახედავ, ტანში გაგბურძღავს, ჩაშავებულა უამივით. სავაჭრო ქსელში ავღია ფეხმობილი სკამივით.. მოკლედ, თქვენს დროს რომ გენახათ, ავტიტუდებოლათ ხარხარი, სიცლით დახუსტდებოლენ ბავთარი და თარხანი!..



თქვენ რა გიჭირდათ?! — ცხოვრებას ისე გალუვდით ბრძოლაში, ხმლის და ოროლის ცემისგან არ იმატებდით წონაში, აღჭურვილ ცხენს რომ ასწვდით, მხრებით მიგქონდა ქუჩაში, ჩვენ კი, ას მეტრს რომ გავივლით, გული გვიჭირავს მუტაში.. მაკლერ კომპლურტით ავგავსო ახალ ცხოვრების სიკეთემ, წელზე, ზმალ-ხანჯლის მაგივრად, ხშირად მუცლის ქონს ვიკეთებდი! ზოგი უმაწვილი სიმსუქნით ძლივს მიხატებდავს სკოლაში, დედა სიცოცხლეს აღამებს ერთი უმაწვილის ყულაში!.. ის ერთიც ბეჭემოთივით არის ქშინვაში, ქაფვაში, დედაკოს „განკარგულებით“ ვარჯიშობს ქამა-ყლაპვის, თუ ასე გასტანს, სამშობლოს სიცოცხლის წყარო დაშრება, საქართველოში კანმრთელი ქართველი აღარ დარჩება!..



ქაჭვის პერანგებს იცვამდით, არა — ჩინსა და ველვებსა, არც — „აღიდასის“ კოსტიუმს, არც — „პუშის“ ძვირფას ელეტსა, ბრიჯებს, ბანანებს თქვენს დროში ვინ დაუწყებდა ძებნასა, ექსტრავაგანტურ მოდითა ვინ დაიწყებდა კვენსანსა?!. თუმცა საძრახისს დღეს, აბა, რას ნახავ ამგვარ ცოდვაში, წუთისოფელი ფერს იცვლის, მოდა ახლა მოდაში!



ამბობენ, ირემს, გაქცეულს, ხელით იჭერდი გნოლივით, ქვეყნის ორგულს და დუშმანსა ზეღლი სახინკლე ცოშივით: ბრძოლებში დაჭრილ-დაღლილინი მშვიდობის ხანას ნატრობდით, აკვენზე ხანძრის ალიონს ხმლების ქნევისგან აქრობდით.. ქულზე მგლის თავი გეხატა, დუშმანს მისდევდი მგელივით. მტრის გოლიათებს შუაზე სჭრიდი იმერულ ყველივით.. ცხენზე მჭდომარემ გალიე წუთისოფლისა საზღვარი, ქვეყნის შანდალზე დაიწვი, იმის ლოცვაში დამდნარსი ახლა, ცხენებით კი არა, მანქანით ვუვლით ქვეყანას, მის რბილ სკამებზე ვნებებოვობთ, გადაწოლილი ნეტარად! ავარიებით მოისპო იმდენ ვაუკაცის არხება, რამდენიც შენ ვერ მოგიკლეს შემოხეულმა ხარხებმა!.. ახლა ზოგ-ზოგი, მტრის ჭიბრზე, დღეში თხუთმეტკერ ითვრება,



ქიქას დაიჭერს ხელში და აქაქან-აჭრიბინდება.. გულს აჩიუებს წარსულზე, გადიდებთ სადღებრძელში, ისე კი ხელს არ გაანძრევს ქვეყნის ბაღსა და ეწოში!.. ყრ ენადგლება ეს ღვინო რა გარჯით არის ნაწურისი. აურბძენს ვინ ჩივის, გოლორი ვის ხელით არის დაწნული. თერთმეტკერ როგორ შეწამლეს, როგორ ფურჩქინდენს სიცხეში, რამდენი ოფლის წვეთია იმ რქაწითელის სითხეში!

სამშობლო ქვეყნის გულისთვის ვის არ დაუდებ პირისპირ, მტრისგან რამდენჯერ დაიცავ შენგან ნაკურთხი თბილისი! გმირმა ფოლანის მარჯვენით, მახვილითა და ოროლით, რამდენი ბილწი, ურჯულა, მოსხე — ავი და ბოროტი! დღეს, ვაუკაცობით კი არა, კოსმოსით იქაღნებინ, ახალ-ახალი ბომბებით ბამისებინ იქაღნებინ!.. მაგრამ ვით შეაშინებენ არწივებს ყვავის ბანლები?! — მგელმა შეტამოს მართლაცდა ქვეყნად თხა თხაზე ნაკლები! ზოგს დაავიწყდა წარსულის ზვიშტი და უქან პანდური, შემორჩათ მომხვეტელობა და გაჭიკება ბაღლური, მითომაც კიუტ ბაღლივით ბრაზობენ, იჭაჭებინ, საომარ „სათამაშოებს“ ეძებენ, იხარჭებინან!.. გაუმადარი მუცლისთვის თვით დედამიწაც არ ჰყოფნით, დავიწყებიათ წარსული ცხვირდალუწილი ადოლოვის!.. შენმა ლამაზმა თბილისმა მხრები გაშალა მცნეთამდი!.. ნეტავი წამოგახედა, თვალთ გარვენა ნეტავი?! მილიონიან ქალაქმა ისე გაწელა საზღვრები, რომ მალე სიგრძე-სიგანით ქართლსა და კახეთს გავწვდებით! ყველა თბილისში მოიწევს, ყველა თბილისში სახლდება, ალბათ, სულ მალე სოფელში მცხოვრები აღარ დარჩება!..



სხვა რა მოგწერო, სამშობლოს კვალზე მავალა აჩრდილო. ახალ თბილისის სიმბოლოდ მეტებს აჭრილო არწივო?! შენი გმირობა გვფარავდეს, შენი სიმაართე ალლი — ჩემი სიმხნევის, სიმტკიცის ბევრჯერ ნაცადი წამალი! დუშმანს ბმისთვის ებრძოდი, ჩვენ რომ გველხინა, გეხარა, კიდევაც დაჭაბდებოლენ შენისთანები ქვეყანას!..

პალერიან მამუკელაშვილი
ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი



ქრონიკები ქვეყნის გორიდან




ბევრი სიგნალი შემოდის ზოგიერთი მოუგვარებელი საკითხის შესახებ ქართლის გულიდან. მათი მიხედვით შეიქმნა ეს ქრონიკები.

არაერთხელ გამხდარა სჯა-ბაასის საგანი მანქანა და უპატრონო ძაღლების მომრავლება. მართალია მათი ლიკვიდაციისათვის გატარდა ზომები, მაგრამ დილის რიურაზე ძაღლების ყეფა გაგაღვიძებს თუ თოფების ბათბათუთქი, რაღა დაგაძინებს კაცს, სანამ გაიგებ, რომ იმ თოფებით არავითარი ზოროტი ქმედება არ ხდება და მხოლოდ ძაღლებს სოცავენ! იმის დავიწყება კი არ იქნება მართებული — ძაღლი ვინც მოკლა, მანვე უნდა გადაათრიოს!..

დიდალი სახელმწიფო სახსრები მოითხოვა მიწისქვეშა გადასასვლელმა ქალაქის ცენტრალურ სტადიონსა და ავტოსადგურს შორის, მაგრამ ხალხი ისევე შუა მოედანზე დადის. ძველი გამოთქმის მოხმობა, რომ გორელებს შუა ქუჩაში სიარული უყვართ, ამ შემთხვევაში უადგილო იქ-



ნება — მიწისქვეშა გადასასვლელში არ გაიხვლება — იქ მუდმივი სიბნელეა და წყალი დგას!.. ასე იყო ერთი თვის წინ, ექვსი თვის წინ, ორი წლის წინ!.. ჩანს, არავინ შეუწყობია ამ საკითხს იმ სამსახურებში, რომელთა ზედამხედველობაც უპრინია აღნიშნული ობიექტისადმი.



ერთი დროს აქ კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი — იმართებოდა რესპუბლიკური ასპარეზობანი ჭადრაკში. ვანა მარტო რესპუბლიკური — საკავშირო და, ასე ვანსაჯეთ, საერთაშორისო შეჯიბრებებიც კი. ამა დიდებულ საქმეთა თაოსანნი წავიდნენ. ჩაიფერფლა საჭადრაკო ცხოვრება, თითქოს ერთ ყუთში ჩაიყარა ყველა ფიგურა. ამ ტურნირების პერიოდებებსლა ისხნებენ ჭადრაკის „ადგილობრივი ვეფხეები“, კაფეებსა და კინო-თეატრებში რომ ზვდებიან ერთმანეთს. ადრე ისინი ჭადრაკის დაფებთან სვდებოდნენ ერთიმეორეს

სტალინის პროსპექტზე არსებულ საჭადრაკო კლუბში. იქ ამტვრევივინებდა სოლმე თავს ახალ ეტიუდებზე საერთაშორისო დიდოსტატი იოსებ კრისელი თანამოქალაქეებს. ამკამად კლუბი გაუქმებულია. ასე იყო შარშან, შარშანწინ!.. ნაკლებარში რძის სამზარეულოა. რძე თავისთავად კარგია, მაგრამ რატომ უნდა შევაჯავროთ მოჭადრაკეებს ძროსა?

ჩვეულებრივი წვიმა რომ მოდის (არ ვლაპარაკობთ კოკისპირულზე), ისეთ ნიაღვარს აჩენს საბჭოს ქუჩაზე, რომ კაცს ფეხით გადასვლა უჭირს ერთი ტროტუარიდან მეორეზე, თავსხმის დროს ზომ კვერნაქის მთიდან დაძრული სტიქია მიმდებარე ქუჩის მცხოვრებლებს უამრავ საზრუნავს უჩენს. გორელებმა მტკვარს, ლიხვს და მეჯულას დაამლევივნეს ადიდება, ჯებირებში მოაქციეს. წვიმას რა ეშველება?!..

ჯავლით სარგბილი



ნახ. კ. ფაჩულისი



მატრატაზი

ციგნობა და მლიქვნელობა, რადგან იცის, სადღაც ფასობს, — თითლიბაზობს, ოინბაზობს, ჯამბაზობს და მატრატაზობს!

მე ის მიკვირს, ვინც მას იწვევს სალხინოდ და სადარბაზოდ, — სირცხვილისგან რად არ იწვიის, რად უხარის, რად არ ბრაზობს?!

სურვილი მაქვს, მისი გზები თითო-თითოდ ვადავრაზო, რომ არ პავადნენ ის „იქსები“ ცად ყორნების გადავლასო!

მინდა ვუთხრა მას, ვინც მუდამ თქვლევს პირსავე მათლაფასო, ვინც ნიადავ ოინბაზობს, ჯამბაზობს და მატრატაზობს:

დრო მოვა და გამწესდები საპატიმრო-სატრაპეზოდ!

— ციხისძირის ერთი საგზურილა დამრჩა და, თუ გინდა, წაიდე!
— არა! ციხეს ნუ გამაგონებ, თუ ძმა ხარ!..

ალექსანდრი ტაბატაძე

საქმისკენი



კერძომესაკუთრე — ვინც ყველაფრის დასაკუთრებას ცდილობს, გარდა საკუთარი თავისა.

ვაი-ხელმძღვანელი — ვინც ყველაფერს ხელქვეითებს სთხოვს, საკუთარ თავს კი — არაფერს.

ამბიცი — როცა საკუთარ თავში მხოლოდ კარგს ამჩნევ, სხვაში კი — მხოლოდ ცუდს.

მედროვე — ვინც უსინდისოდ, უსულგულოდ იქცევა და უდროოდ, უსახელოდ და უაზროდ ტოვებს ასპარეზს.

საკბილო — მაგნიტი, რაზეც ჯერ კბილს ავლებს მომხვეჭელი, მერე კი იმტვრევს.

გადაგვარება — როცა ჯერ სახეს კარგავენ, მერე — სახელს. რევიზორ-კონტროლიორის აქტი — დოკუმენტი, რომელიც ზოგჯერ იხევა, რადგან დამნაშავე ხდება აქტიური.

გაუცხოებული — ვინც ყოველგვარ უცხოურს საუცხოოდ მიიჩნევს, რადგან საკუთარი ეუცხოება.

პასივისტი — ვინც არაფერს აკეთებს იმის შიშით, რომ არაფერი გააფუჭოს.

ცირკულაცია — განცხადების, თხოვნის და ა. შ. მოქცევა მოჯადოებულ წრეში.

მომხვეჭელი — ვინც ცდილობს ყველაფერს დაეუფლოს, რაც მას არ გააჩნია.

ფული — კერძომესაკუთრის ოცნების, დარდის, შიშის, ალტაცების, დატაცების და გატაცების საგანი.

თანამდებობა — ზოგი კარიერისტისთვის განდიდების, ზოგისთვის გამდიდრების საშუალება.

კომპინატორი — ვინც ყველაფრის მიტაცებას ცდილობს და საბოლოოდ მარლის, ქონისა და შაქრის ამარა რჩება.

საქმოსნობა — უსაქმოდ, მუქთად და უქმად ცხოვრების უკანონო საშუალება.

თვითრეკლამა — საკუთარი თავის გაუფასურება მისი დაფასების მიზნით.

ადამიანური ღირსება — რასაც მომხვეჭელისათვის არავითარი ფასი არა აქვს, რადგან ფულადი ღირებულება არ გააჩნია.

შემწუნარებელი — ვინც ერთ ან რამდენიმე დამნაშავეს იწყალებს მრავალი უდანაშაულოს საზიანოდ.

საქეულანტი — ვინც სხვისი საქონლითა და საკუთარი სინდისით ვაჭრობს.

ალმანაქორ თავაქა

ურკეები

● **თვითთარბიტიკის** გაშლის მიზნით ფეხსაცმლის ფაბრიკაში დაარსდა ახალი კედლის გაზეთი „ღია პირით“.

● **გასტრონომის** საკონტროლო სასწორს არავინ არ იყენებდა — ისედაც ნათელი იყო ყველაფერი.

● **თვითთომოსასურბაჯა** პირველად თვით მალაზიის თანამშრომლები გადავიდნენ.

● **სასტუმრო** სანაცნობოდ გადააკეთეს.

● **ფინი** ცდილობდა, ფეხსაცმლის ფორმა მიეღო.

ანდრო კოკოლია


ნახ. ჯ. ლოლუასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა




— ესეც ლეონის ძმა არი!

ნახ. ვ. კუციანი



უსიტყვოდ

კურთხევის ქსეტი



თანამდებობანა



— ხაზინად დამნიშნეო, ამ მა-
მაძალმა!..
— მერე მაგისტვის ატირებ
ბავშვს?! შენც ადექი და დანიშნი,
გაგიჭირდება თუ რა?!

ს ს კ რ ტ უ ლ ე ბ ი

- სამსახურში დიდ სიფხიზეს იჩენდა — იშვიათად ეძინა.
- მუჩაში მანქანას არავის არ უჩერებდა — ფეხით სიარული განმრთელობააო!
- ისეთი ძუნწი იყო, მაჯაზე საათი ეკეთა და დროს მაინც სხვებს ეკითხებოდა.

ზოთა ქალეხსაზვილი
(ქარელის რაიონი)

იუმორისკა

მე და ვეწერე: „არც უნდა იყოს“; „არც არ უნდა იყოს“, — გაასწორა მან; მე დავწერე: „პრეისკურანტი“; „ფასების პრეისკურანტი“, — გაასწორა მან; მე დავწერე: „განაგრძო“; „გააგრძელა“, — გაასწორა მან; მე დავწერე: „იხვი ქათმის როლს ასრულებს“; „ქათმის როლს იხვი თამაშობს“, — გაასწორა მან; მე დავწერე: „ლამაზი ძროხა“; „მშვენიერი“, — გაასწორა მან; მეც დავწერე: „მშვენიერი“; „წარმტაცი“, — გაასწორა მან; მეც დავწერე: „წარმტაცი“; „მომსიბულელი“ — გაასწორა მან; მე დავწერე: „ორ თევს შეუძლოდ იყო“; „შეუძლოდ იყო ორი თვა“, — გაასწორა მან; არაფერი არ დავწერე. — მოგხსნი! — დამემუქრა იგი. მაინც მომიხდა კალმის აღება. — ტყუილუბრალოდ წვალაო! — თქვა მან. — მე ხომ ლიტერატორი არა ვარ?! — თავი ვიმართლე მე. — აბა, რა ხარ?! — თქვა მან. — ვეტერარ...ინარი, — ვთქვი მე. — მაშინ ვეცოდინება, რა უნდაქ ქნას პეპელამ! — თქვა მან. — არც გაფრინდეს, არც მოფრინდეს! — ვთქვი მე. — მამ ფრთებით რად შემოსა პუნუბამ? — თქვა მან.

მხრები ავიჩიე.
— არც ეს იცი?! — გაიოცა მან. — არა! — ვთქვი მე.
— ამიერიდან აღარც ანკეტებს შევსებ! — გამაფრთხილა მან! — მხოლოდ ცფფრების ვნით გამოცხადდები ჩემთან. მაგალითად, ასე მომასწავლებ: სუთი ინდაურები, ცაპეტი გოჭები, თურამეტი შავი ბატები, მართალია, მხოლოდ მეცხოველეობა-მეფრინველეობის კომპლექსური ფერმის უფროსი ვარ, მაგრამ მაინც გასწავლი მათემატიკური ლოგიკით აზროვნებას!
მას შემდეგ ანკეტებში რიცხვების გარდა არაფერი გამიჭაჭანებია.
მაგრამ...
მაგრამ მაინც არ დამადგა საშველი: სამიანს ორიანად, ორიანს ერთიანად, ერთიანს ნულად გადამისწორებს ხოლმე ან — პირიქით!..

კლადივერ ღარჩია
(ქ. ბათუმი)

გალდა ლოგიკური დასასრულით

დააყენა ბული ნაცრის,
ატირა ქვაც და ხეცა,
სიტყვა პატიოსან კაცის
ტრიბუნაზე დიდხანს ღეჭა,
ღეჭა,
ღეჭა,
ღეჭა,
ღეჭა!..
ერთი- ორჯერ ისეთი თქვა, —
გაზეთშიც კი დაიბუჭდა!..
და უჯრეც!
და ადგიც:
„ნაღდი კაცი არის ესა!..
ის უზანი ჩავაბაროთ,
ვინ მოუვლის უკეთესად?!“
ჩააბარეს, სავარძელში
ღიბი ნაზად მოიკეცა,
გუშინდელი „ნაღდი“ კაცი
მალე გადაიქცა მსუცად,
იქით ეცა,
აქით ეცა,
სწორედ ისე, მელია რომ
შეეწვევა საქათმესა!
ქმნა პრუდისა,
ქმნა ბილწისა
გაიხდა კაცმან წესად!

კ ე ს ა,
კ ე ს ა,
კ ე ს ა,
კ ე ს ა,
მაგრამ ფული ვერ დაკეცა!..
ახლა ციხეშია იგი,
ახლა ციხის კედლებს ლესავს!..
P. S.
მაგისტონა ბარე ორი
დღესაც ქე გვყავს,
ქე ჭამს,
ქე სვამს,
მაგრამ რაც მოვლით მალე,
იცით ჩემზე უკეთესად!..

ელდარ კერქევაძე



გარსალ სალიმოვი
ლახთიანი
გვზაქოვა
ნოვალა

გ რ კ ნ უ ლ ი ნ ა თ ი ძ ვ ა -
 მ ი ა : „მთა მთას არ შესვ-
 დებაო...“. აღამიანებს კი ეს
 საშიშროება არ ემუქრებათ,
 მით უმეტეს, თუ ერთ ქალა-
 ქში ცხოვრობენ.

პარაკვეს, სამუშაო დამ-
 თავრდა თუ არა, მაშინვე გა-
 სასვლელს ვეცვი, მაგრამ რად
 გინდა? — მოჩქარეს მოუგ-
 ვიანდესო, ისე დამემართა.
 კარებში ხატმულას არ დავე-
 ჯახე თავით?!

— ერიპა! სომ არ დაბრ-
 მავდი? კინალამ თითი არ
 წამაცალა ამ დამთხვეულმა?
 — აკენესდა იგი.

დავიბენი, მაგრამ მერე რომ
 გამახსენდა, სადაც მივიდიოდი,
 ისევ გავხალისდი:

— მაპატიე, გეთაყვა, ქორ-
 წილში მაგვიანდებდა, ჩემს ძმას
 ცოლი მოჰყავს!

— მომილოცავს!.. კი მაგ-
 რამ, ფეხით აპირებ წასვლას?
 იქ სომ ყველა „ვოლგითა“ და
 „ფიგულითა“ მობრძანდებდა?
 შერცხვე? — არა-ა-ა! ამას
 არ დაფუშვებ! ასლავე ჩემი
 „ლადათი“ მიგასრიალებ ძმა-
 სთან, დაე, ყველამ დაინახოს,
 რომ ჩვენც ხალხი ვართ!

— უსერხული სომ არ იქნე-
 ბა? ტროლეიბუსითაც კარგად
 მივიდიოდი!..

— ტროლეიბუსითო? სად?!
 ქორწილში ტროლეიბუ-
 სით აპირებ მისვლას?! სომ
 არ შეიშალე?! საქვეყნოდ გი-
 ნდა თავი მოიჭრა?! არა, ჩემო
 ძმაო, ნორმალური კაცი ამ-
 ას არ იზამს! არა-ა-ა! აი, უც-
 ბად გარაჟამდე მივალთ და
 მერე ჩემი „ლადა“ შენს გან-
 კარგულებაში იგულე! — თქვა
 ხატმულამ და ტრამვაის გა-
 ჩერებისაკენ წამართია.

წინააღმდეგობა არ გამიჩე-
 ვია — ჯანდაბას, წავალ „ლა-
 დათი“-მეთქი!

თსუთმეტი ვაჩერების შემ-
 დევ ტროლეიბუსში გადავყე-
 ქით, მერე კი საგარეუბნო
 მატარებელში ამოვავით თა-
 ვი.

— საცაა მივალთ! — მამშ-
 ვიდებდა ხატმულა ავტობუსის
 გაჩერებასთან. — ქალაქში გა-
 რაუისათვის ადგილი ვერ გა-
 მოვანახე, მეც ავდექი და ქა-
 ლაქარეთ ავაშენე.

პირველ ავტობუსში ვერაფ-
 რით ვერ შევადწიეთ. ისე გა-

ჭედლიყო, ნემსიც კი არ ჩა-
 ვარდებოდა. ერთი სიტყვით,
 მხოლოდ გამთენიისას მოვა-
 ხერხეთ გამგზავრება.


ვიმგზავრეთ, მაგრამ რა ვი-
 მგზავრეთ! რამდენიმე ზეკარი
 გადავიარეთ, ჭაოზებიც ვავტო-
 ლეთ, დაბოლოს ერთ ლამაზი
 გვირილებით დაფარულ ვე-
 ლზე ამოვყავით თავი, მაგრამ
 ვინ ვაცალა ბუნების მშვენიე-
 რებით დატკობა? — ხატმულა
 ენერგიულად განაგრძობდა
 გზას და მეც თან მიმართევიდა.

სით დავითანმეთ მშენებლე-
 ბი, იქვე ახლო დასასვენებელ
 სახლს რომ აშენებდნენ.

„უბედურ კაცს ქვა აღმარ-
 თში მიეწიაო!“ — ჭეშმარიტე-
 ბაა, ღმერთმანი! „ლადათი“
 ოცი მეტრიც არ გვქონდა გა-
 ვლილი, ტალახში რომ ჩავე-
 ფალით. ტრაქტორმა ძლივს
 ამოგვართია. ჩვენი სიხარული
 დიდხანს არ გავრძელებულა
 — დასუთქილმა ასფალტმა მა-
 ნქანა ჯართის გროვას დაამ-
 ხგავსა.

ეზული ქეფი იყო. მაგიდას
 შემოვუსვდიოთ. სასმისი ავწიე
 და სულითა და გულით ვად-
 ლეგრძელებე ახალდაქორწინებუ-
 ლნი, გამრავლება და ბედნი-
 ერება უუსურვე. მაშინვე გამ-
 აჩერეს.

— შენ, ჩემო ძმაო, დიდი
 ხუმარა ყოფილხარ! არ დაგვ-
 ხოცე სიცილით?! — ცოტა გა-
 კვირვებითა და ცოტა არ იყ-
 ოს წყენით მითხრა ძმამ: —
 ცოლი ამ ცხრა თვის წინ მო-
 ვიყვანე და ახლა გვლოცავ?!
 —



მისი გარაჟი ხეობაში მდე-
 ბარე უღრანი ტყის შუაგულში
 აღმოჩნდა.

თქვენ წარმოიდგინეთ, ხა-
 ტმულას კომპასის მოშველი-
 ებაც კი დასჭირვებია, რომ
 თავისი ძვირფასი მანქანა ეპ-
 ოვა.

არ გავგიმართლა ბედმა:
 კლდიდან ჩამოვარდნილ ვეე-
 ბა ლოდს გარაჟის შესასვლე-
 ლი ჩაეხერგა. ბევრი ვეწვალ-
 ეთ, ბევრი ოფლი გამოვიდინე-
 თ, მაგრამ ძვრაც ვერ ვუყა-
 ვით. ბოლოს ავტომანქანა მოვი-
 ყვანეთ — დიდი ვაი-ვავლა-

გზა მაშინდა გავაგრძელებო, როცა ხელოსანმა კარგა გვა-
 რიანად წაიმუშავა და „ლა-
 დას“ თავისი სახე დაუბრუნა.

ამასობაში ღლეებისა და კვი-
 რების სათვალავი აშერია.

ქალაქში შესვლისას მან-
 ქანა სულ რაღაც ხუთ წუთში
 გავარცხნიეთ მდინარე აგი-
 დელის სუფთა წყალში. აბა,
 რა გვექნა? — ავტოსამრეცხაო
 როგორც წესი, არ მუშაობდა!..

ყველაფერი ისე კარგად ავი-
 სრულდეთ, როგორც ჩვენი
 მოგზაურობა დასრულდა. მი-
 ვადექით ძმის სახლს. გახურ-


— ცხრა თვის წინ?! — დავე-
 აღე პირი.

— დიან, დიან, — ყველაზე
 ადრე რძალი გამოერკვა გაო-
 ცებისაკენ, — მერე რა მოხდა,
 ქორწილში თუ დავივიანეთ,
 სამაგიეროდ ძელებს მოუსწარი-
 ით! ბიჭი შეგვეძინა, ბიჭი!
 პოდა, დროზე მოხვედით!

წემი გრძელდებოდა. ისე,
 კაცმა რომ თქვას, რა მნიშვ-
 ნელობა აქვს, ქორწილია თუ
 ძეობა? მოთავრია, კარგად იქ-
 ეფიო, ლაზა თ ი ა ნ ბ დ!

თარგმნა
ზაალ გობოქოვილი

როგორც გაზეთი „ჟორნალ დე ანგოლა“ იტყობინებოდა, პრეზიდენტ რეიგანის მხარდაჭერით ტენასის შტატში შედგა ე. წ. „მსოფლიო ანტიკომუნისტური ლიგის“ — მკვლევებისა და ბანდიტების თათბირი ბანდიტ ჯონ სინკლერის მეთაურობით. თათბირში მონაწილეობა მიიღეს კონტრრევოლუციური ბანდების წინამძღოლებმა და წარმომადგენლებმა აზიიდან, აფრიკიდან და ლათინური ამერიკიდან.



ნ.ბ. ზ. ფორანკინისა

რ ე ი გ ა ნ ს ჯ ა რ ე ბ ი

КОНТРОЛЬНЫЕ
ОКТЕМБРАРЫ



სატირინა და იუმორის
ჟურნალი „სატიკო“ № 21
(1633) ნოემბერი გამო-
დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ჯაშარ გოლგვამია

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ქაბუა ამირეჯიბი, ნოზალი
ბარათია, ბორის გურგუ-
ლია, რევას თვარაძე, ჯე-
მალ ლოლუა, ნოდარ მალა-
ზონია. (მხატვარ-რედაქტო-
რი), ალექსანდრე სამსონია,
ბეჟან სიხარულიძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ
წიფვივაძე, ნათე ჯუხუთი.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუნალაშვილი

გადაეცა ასაწყობად 8. 10.
85 წ. ბელმოწერილია დასა-
ბეჭდად 21. 11. 85 წ. ქა-
ბულის ზომა 60X90^{1/4}
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცე-
ლი 1,25, სადრიტცხო-საგა-
მომცემლო თაბახი 1,9, სა-
ქართველოს კვ ცვ-ის გა-
მომცემლო, ლენინის, 14.
უკვეთა №2268. უე 11279.
ტირაჟი 146.000. ჟურნალი
გამოდის თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული მა-
სალები ავტორებს არ უბ-
რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაკების — 99-02-38,
მდივან — მემანქანის —
99-76-69.

სატირიკო - юмористиче-
ский журнал «НИАН-
ГИ» (На грузинском
языке) Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Издаватель-
ство ЦК КП Грузии,
типография издательства
ЦК КП Грузии, Тбили-
си, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი.
იზღექსი 76137

